სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

04 / ივნისი / 2024 წ.

KA080135500968924

№ **1576**

განკარგულება

შპს „პროფიმპექსის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“;

ტენდერის ნომერი: NAT200012463;

შესყიდვის ობიექტი: 38500000 – საკონტროლო და გამოსაცდელი აპარატურა;

მიმწოდებელი: შპს „პროფიმპექსი“ (ს/ნ: 202463592);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 15 მაისს წარმოდგენილ იქნა ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ 2024 წლის 15 მაისის № 70-012413671 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 4072), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „პროფიმპექსის“ (ს/ნ: 202463592) მიერ NAT200012463 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2020 წლის 15 ოქტომბრის № 08/10/1-1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „პროფიმპექსს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში თქვენს პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე profimpexllc@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 20 მაისის № 1510 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, მიმწოდებელმა არ აღმოფხვრა საგარანტიო ვადაში მის მიერ მიწოდებული საქონლისთვის გამოვლენილი ხარვეზი.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2020 წლის 15 ოქტომბერს, NAT200012463 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ააიპ „თბილისის მუნიციპალურ ლაბორატორიასა“ და შპს „პროფიმპექსს“ (ს/ნ: 202463592) შორის დაიდო № 08/10/1-1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 70 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 128 500 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2021 წლის 14 თებერვალი.

4.2. მხარეთა შორის 2020 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაიზარდა 2021 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.

4.3. № 08/10/1-1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 7.3. პუნქტისა და № 2 დანართის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტზე ვრცელდებოდა ორწლიანი საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაშიც, საქონლის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში მიმწოდებელს უნდა შეეკეთებინა/შეეცვალა წუნდებული საქონელი. ამასთან, თუ მითითებულ 10 დღეში ვერ მოხერხდებოდა საქონლის შეკეთება, მიმწოდებელი ვალდებული იყო, 25 დღის ვადაში, არსებული დანადგარი შეეცვალა ახლით.

4.4. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით დგინდება, რომ მიმწოდებელმა 2020 წლის 30 დეკემბერს შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდა შეთანხმებული საქონელი.

4.5. ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ საგამოცდო ლაბორატორიის უფროსის 2022 წლის 26 დეკემბრის მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ 2022 წლის 15 დეკემბერს მწყობრიდან გამოვიდა უნივერსალური საცდელი პრესი, კერძოდ, არ მუშაობდა მოწყობილობის მარჯვენა ნაწილი – ბეტონის ბლოკის შესამოწმებელი განყოფილება.

4.6. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 29 დეკემბრის №70-01223631355 წერილით ეთხოვა გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 11 ივლისის № 70-01231923217 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელს არ გამოუსწორებია გამოვლენილი ხარვეზი. იმავე წერილით, მიმწოდებელს კვლავ ეთხოვა ხარვეზის აღმოფხვრა.

4.8. შემსყიდველ ორგანიზაციას მიმწოდებლის 2023 წლის 2 აგვისტოს № 1 წერილით ეცნობა, რომ, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მან ვერ მოახერხა დანადგარის შეკეთება. ასევე ამავე წერილის თანახმად, თუ მოწყობილობა ვერ შეკეთდებოდა 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, მიმწოდებელი იღებდა მისი მწარმოებელ კომპანიასთან გაგზავნის ვალდებულებას.

4.9. საქმეში არსებული ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ საგამოცდო ლაბორატორიის უფროსის 2024 წლის 14 თებერვლის მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ მიმწოდებელს არ გამოუსწორებია გამოვლენილი ხარვეზი.

4.10. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 19 მარტის №70-01240791100 წერილით ეთხოვა 7 სამუშაო დღის განმავლობაში ეცნობებინა გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისთვის საჭირო ვადების შესახებ ინფორმაცია და ეთხოვა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.11. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 14 მაისის № 70-01241353506 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელს საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ხარვეზი არ გამოუსწორებია.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „პროფიმპექსს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, შემსყიდველი ორგანიზაციის არაერთი მიმართვის მიუხედავად, არ აღმოფხვრა საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ხარვეზი. ამდენად, სახეზე არის მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შესრულდა არაჯეროვნად, რაც გამოიხატა საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოუფხვრელობაში, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ შესრულებულია ხელშეკრულების ღირებულების 100%. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „პროფიმპექსის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაზომიერი შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „პროფიმპექსს“ (ს/ნ: 202463592) 2024 წლის 5 ივნისს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე